1
ა გ ვ ი ს ტ ო
ხუთშაბათი,
1963 წ.
№ 151 (2256)
გამოცემის მე-20 წელი.
ფასი 3 კაპ.

რევანში

მოსკოვი. (ტელეფონით). გუშინ მოსკოვში გაიმართა მეორე ფინალური მატჩი კალათბურთში ევროპის თასზე ცსკა-სა და მადრიდის „რეალს“ შორის. პირველ მატჩში გაიმარჯვა „რეალმა“ 17 ქულის სხვაობით. ამჯერად პირველ ნახევარშივე დაწინაურდა ცსკა — 48:34. მეორე ნახევარში 5 საჯარიმოს გამო მოედანი დატოვეს ვოლნოვმა და კორნეევმა.

მატჩის საბოლოო შედეგია 91:74. ცსკა-მ შეძლო რევანშის აღება. მატჩი მოიგო 17 ქულის განსხვავებით. დამატებითი მატჩი შედგება დღეს, რომელიც გამოავლენს თასის მფლობელს.

ცსკა-ს სასტარტო ხუთეული: ალაჩაჩიანი, ტრავინი, პეტროვი, ვოლნოვი, კორნეევი.

სამგზის გამარჯვებული

მოსკოვში დამთავრდა ქალაქის საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ჩოგბურთელთა შეჯიბრება. წარმატებას მიაღწია ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა ა. დმიტრიევამ („დინამო“). ქალთა ფინალში მის წინააღმდეგ გამოდიოდა ს. ასპისოვა („ტრუდი“). მატჩი მოიგო დინამოელმა — 6:0, 6:3 და ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი პირველად გახდა დედაქალაქის ჩემპიონი ერთეულთა შეხვედრაში ღია კორტებზე.

ჩემპიონის მეორე ტიტული ა. დმიტრიევამ მოიპოვა ვ. ფილიპოვასთან ერთად. მათ დაამარცხეს ს. ასპისოვა და რ. კირსანოვა — 6:1, 6:3. შერეულ წყვილთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლ. დუდინცევა-ა. ჩუგუროვი და ა. დმიტრიევა-ვ. ეგოროვი. დინამოელებმა ძლიერად ჩაატარეს მატჩი და დაამარცხეს მოწინააღმდეგე — 6:2. 6:4. ამ გამარჯვებით ა. დმიტრიევამ მოიპოვა მოსკოვის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

„სოვეტსკი სპორტის“ პრიზი — საქართველოს მსროლელებს

მოსკოვი. (ტელეფონით). საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის საზეიმო გახსნამდე, რომელიც 10 აგვისტოს შედგება, საკმაო დროა დარჩენილი, მაგრამ ზოგიერთ სახეობებში ფინალური შეჯიბრებანი დამთავრდა. დასკვნითი სიტყვა პირველად მესტენდურეებმა თქვეს, შემდეგ შედეგები შეაჯამეს ტყვიით მსროლელებმა. გუშინ კი უკანასკნელი პრიზიორები გამოვლინდა ნიჩბოსნობასა და ძალოსნობაში.

დღეს სპარტაკიადაზე დასვენების დღეა. ხვალ კი ბრძოლები განახლდება. ჩემპიონის ტიტულისათვის სტარტს აიღებენ მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილენი და აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატები.

ტყვიით მსროლელთა უკანასკნელ ვარჯიშებში გაუმჯობესდა მსოფლიოს კიდევ ერთი რეკორდი. რსფსრ-ს გუნდის მიერ „გაქცეულ ირემზე“ 25 ორმაგი გასროლებით მოგროვებული ქულების ჯამი — 898 ქულა 15 ქულით აღემატება საკავშირო რეკორდს და 18 ქულით უკეთესია ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის ნაკრებს ეკუთვნოდა. უკანასკნელმა ვარჯიშებმა მოსკოველთა სასარგებლოდ გადაწყვიტა სროლაში მთავარი პრიზის ბედი. „სადუელო“ სროლაში გუნდი ცალცალკე ხვდება მოწინააღმდეგე გუნდებს. ამ ვარჯიშში მსაჯის ნიშანზე გუნდები გარბიან ცეცხლის ხაზისაკენ და ცდილობენ რაც შეიძლება მეტი სანიშნოები „მოსპონ“. ცხადია, გადამწყვეტ როლს თამაშობს სისწრაფე, როგორც სირბილში, ისე სროლაში. მოსკოველებმა 14 გამარჯვება მოიპოვეს.

ამ დღეს გაიმართა მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან 5 სილუეტზე სროლაც (60 გასროლა). ამ ვარჯიშში ქალთა შორის კიდევ ერთი საპრიზო ადგილი მოიპოვეს საქართველოს გუნდის წევრებმა. ვ. ტიმოფეევამ 573 ქულით VI ადგილი დაიკავა. სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა მოსკოველი ა. სავინა — 581 ქულა. ვაჟთა შორის ორს — უკრაინელ ა. ონიშჩუკსა და ი. მოსეიჩუკს (რსფსრ) ერთნაირი მაჩვენებელი — 589 ქ აღმოაჩნდათ. პირველი ადგილი მოსეიჩუკს მიეკუთვნა.

სპარტაკიადის პროგრამის გარეშე გაიმართა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 და 100 მეტრზე სროლაში (40+40) გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. აქ თავი ისახელეს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა. გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ლ. ურული, შ. ქველიაშვილი, თ. მეგრელიშვილი და რ. ანანიკაანი, ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა, პირველი ადგილი დაისაკუთრა და პრიზი დაიმსახურა.

ამით დამთავრდა ტყვიით მსროლელთა შეჯიბრება. ამ სახეობაში პირველი ადგილი და მთავარი პრიზი მოსკოველებს დარჩათ. მეორე ადგილზეა უკრაინა, მესამეზე — რსფსრ, საქართველოს კოლექტივმა მეორე სპარტაკიადასთან შედარებით ერთი ადგილით წინ წაიწია და IX ადგილზე გამოვიდა. შეიძლებოდა უკეთესი მაჩვენებლის მოპოვებაც, რომ წარუმატებლობას არ ჰქონოდა ადგილი „სადუელო“ სროლაში (17-ე ადგილი), ვაჟთა მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სილუეტებზე (60 გასროლა) სროლაში (12-ე ადგილი) და სხვ.

დ. მუშკუდიანი — ბრინჯაოს მედლის მფლობელი

უკვე რამდენიმე წელია ქვემძიმე წონის ძალოსანთა შორის ჩვენს ქვეყანაში ტოლი არ ჰყავდა ა. ვორობიოვს. მისი საკავშირო რეკორდი სამჭიდში — 472 კილოგრამი დღესაც ხელუხლებელია. ახლა მან დატოვა სპორტული სარბიელი და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელად მუშაობს. სპარტაკიადაზე მისი რეკორდის გაუმჯობესების შესაძლებლობა მიეცათ მის მემკვიდრეებს ძალოსნურ ფიცარნაგზე. ამ წონაში დაძაბული ბრძოლა გაიმართა უკრაინელ ე. ბროვკოსა და რსფსრ-ს წარმომადგენელ ა. კალინიჩენკოს შორის. ორი მოძრაობის ჯამში ორთავეს ერთნაირი შედეგი — 285 კილოგრამი ჰქონდა. ჩემპიონობის ბედი უკანასკნელ მოძრაობაში — აკვრაში უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ წონასწორობა არც ამჯერად დაირღვა. ორთავემ კვლავ ერთნაირი წონა აჰკრა — 180 კილოგრამი. აქ „ბედმა“ ე. ბროვკოს გაუღიმა, რომელიც მეტოქეზე ოდნავ მსუბუქი აღმოჩნდა და ოქროს მედალიც მის მკერდზე აკიაფდა. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ვ. ლიახს (რსფსრ), რომელიც გამარჯვებულს 2,5 კილოგრამით ჩამორჩა.

პირველმა მძიმე წონამ 3 წელია რაც არსებობის უფლება მოიპოვა, ხოლო სპარტაკიადებზე იგი პირველად გათამაშდა. ამ წონაში სვერდლოვსკელ რ. შეიერმანს მარტოდმარტო უხდება რეკორდებთან ბრძოლა. მისი უპირატესობა ამჯერადაც საგრძნობი იყო. საკმარისია ითქვას, რომ მან მეორე ადგილზე გამოსულ ნიჭიერ უკრაინელ ძალოსანს გ. დიაჩენკოს სამჭიდის ჯამში 12,5 კილოგრამი მოუგო. რ. შეიერმანის შედეგი — 475 კილოგრამი, საკმარისი აღმოჩნდა სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედლის დასაუფლებლად.

სასიამოვნო სიურპრიზი მოგვიმზადა ჩვენი რესპუბლიკის პირველი მძიმე წონის ძალოსანმა დ. მუშკუდიანმა. იგი ფიზკულტურული კოლექტივების ხაზით გამოდიოდა შეჯიბრებაზე და პირველი ადგილიც დაიკავა. მაგრამ, მისი წარმატება ამით არ დამთავრებულა: 442,5 კილოგრამმა მას სპარტაკიადის ბრინჯაოს მედალი მოუტანა, ხოლო მისი მშობლიური კოლექტივი — სპორტკლუბი „გამარჯვება“ საწარმოო კოლექტივებს შორის ძალოსნობაში მესამე ადგილზე გადაიყვანა. დ. მუშკუდიანმა უკან მოიტოვა ისეთი ძლიერი ძალოსნები, როგორებიც არიან ვ. სტეპანოვი (მოლდავეთი), ვ. დვიგუნი (ტაჯიკეთი) და სხვები.. ნაკრები გუნდების ხაზით ამ წონაში გამოდიოდა კ. ებრალიძე, რომელმაც 427,5 კილოგრამით გუნდს ჩათვლა მისცა.

შეჯიბრების მსვლელობაში დამყარებულ იქნა ორი მსოფლიო რეკორდი ჭაბუკთა შორის. საშუალო წონის ძალოსანმა ვ. კიზოგიანმა (სომხეთი) ასწია 132,5 კილოგრამი, ხოლო ქვემძიმე წონის სპორტსმენმა ე. მკრტუმიანმა (ლიტვა) ამავე მოძრაობაში 135 კილოგრამი აჩვენა.

რვა წონითი კატეგორიის შემდეგ ნაკრებ გუნდებს შორის მე-7 ადგილზე გადავინაცვლეთ.

სურათებზე: ზ ე ვ ი თ — სპარტაკიადის ჩემპიონი ტყვიით სროლაში თბილისელი ა. სტროევი („დინამო“). ქ ვ ე ვ ი თ — I მძიმე წონის შტანგისტმა დ. მუშკუდიანმა გაჭიმულ ხელებზე გააჩერა შტანგა.

ნიჩბოსნები ფინალში

საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში ნახევარფინალებში გაიმართა ყველაზე დაძაბული შეჯიბრება. აქ წყდებოდა უკანასკნელ ეტაპში — ფინალში მონაწილეობის უფლების მოპოვების საკითხი. მოეწყო 39 გაცურვა, რომლის მსგავსი უდიდეს საერთაშორისო რეგატებსაც კი არ ახსოვთ. ზოგ მონაწილეს რამდენჯერმე მოუხდა ნავში ჩაჯდომა. ასეთი ბედი ეწია ლატვიელ ა. სამიტეს და საჯერვე მოიპოვა ფინალში მონაწილეობის უფლება — ესტაფეტაში, აგრეთვე ერთადგილიანი და ოთხადგილიანი ბაიდარებით. ორჯერ გამოვიდა სტარტზე საქართველოს გუნდის წევრი ა. მატკავა (ესტაფეტაში 4X500 მ და 1000 მეტრზე) და ორჯერვე შეძლო ფინალისტებში მოხვედრა.

(დასასრული მე-3 გვ.)

საინტერესო ფილმი

ამას წინათ სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურ საბჭოში მოეწყო ფილმის განხილვა, რომელიც აღწერს საბჭოთა და ინგლისელ ალპინისტების ერთობლივ ასვლას პამირის მწვერვალებზე. ეს საინტერესო კინონაწარმოები გადაღებულია კინოოპერატორების მ. ანუფრიკოვისა და პ. სკორობოგატოვის მიერ. ისინი ალპინისტებთან ერთად ავიდნენ მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე, რომელიც „კომუნიზმის“ სახელს ატარებს.

ახალი სპორტული კინოფილმის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ალპინიზმის საკავშირო ფედერაციის წევრებმა. მათ მაღალი შეფასება მისცეს ოპერატორების ნამუშევარს.

სპორტის დამსახურებულ ოსტატ მ. ანუფრიკოვისა და სპორტის ოსტატ პ. სკორობოგატოვის ეს ფილმი პირველი არ არის. მათ შექმნილი აქვთ ფილმები „მთებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ“, „გამარჯვების პიკი“, „ლენინის პიკი“ და სხვ.

მატჩი ვარშავაში

„გიგანტთა მატჩში“ საბჭოთა ნაკრებთან მორიგი დამარცხების შემდეგ ამერიკელებმა ვარშავაში სცადეს ძალები პოლონელ მძლეოსნებთან. 50 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი „ათი წლისთავის“ სახელობის სტადიონზე.

დამსწრეთა დიდ ინტერესს იწვევდა ჭოკით ხტომა. მსოფლიო რეკორდსმენმა ჯ. პენელიმ გაამართლა იმედი. როცა მსაჯებმა თამასა 5.11 მ-ზე ასწიეს, პენელიმ (მოსკოვში აჩვენა 4.70 მ) პირველი ცდით დაძლია იგი. თითქოს „დაეცა“ ძველი მსოფლიო რეკორდი — 5.10 მ, მაგრამ გულდასმით გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჯ. პენელს გადაელახა 5 მ 10,5 სმ, რის გამო ჯ. პენელს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წესების თანახმად რეკორდად მხოლოდ 5.10 მ. ჩაეთვლება.

100 მ რბენა კვლავ კარგი შედეგით მოიგო ქ. ჰეიესმა — 10,2. სამაგიეროდ, სიგრძეზე ხტომაში რ. ბოსტონი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა, წინ „გაუშვა“ თანაგუნდელი ჯ. ჰორნი — 7.98 მ. უროს ტყორცნაში პირველობდნენ მასპინძლები ო. ჩეპლი — 65.28 და ტ. რუტი — 64.42 მ.

ქალთა შორის 80 მ თარჯრბენში გამარჯვებულმა მ. პიონტკოვსკაიამ აჩვენა 10,9. ამერიკელთაგან აღსანიშნავია ე. მონტგომერის უპირატესობა სიმაღლეზე ხტომაში—173 სმ.

შეემატება კულტურის კერას

წერილი რედაქციას

გულს უხარია საბურთალოზე ახალმშენებლობათა ხილვა. ათასობით თბილისელმა, მათ შორის ჩვენც, აქ კომფორტაბელური ბინა მივიღეთ. ყოველდღიურად იზრდება დედაქალაქის ეს შესანიშნავი უბანი, სადაც ბევრი კეთდება მოსახლეობის საკეთილ დღეოდ.

საბურთალოზე ცხოვრობს ჭადრაკის ასობით მოყვარული. არიან ბავშვებიც, რომლებსაც სურვილი აქვთ დაეუფლონ ამ თამაშს, მაგრამ ჩვენს უბანში არ არის ჭადრაკის სათამაშო ოთახი, ან კუთხე. ცენტრში, საჭადრაკო კლუბში სიარული კი ძალიან ბევრ დროს გვართმევს უფროსებს, ხოლო ბავშვებისათვის ხომ სულ მიუწვდომელია.

ამიტომ ჩვენ გვგონია კარგი იქნება, თუ ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, რომელიმე ახალი შენობის პირველ სართულზე, სადაც ჩვეულებრივ მაღაზიებს ხსნიან, გამოყონ ერთი ან ორი ოთახი მოჭადრაკეებისათვის. ეს კეთილშობილური საქმე მხოლოდ სარგებლობას მოუტანს საბურთალოს ახალგაზრდებს, ბავშვებს, რომელთათვის თბილისის სპორტული საჭადრაკო სკოლა გახსნის აქ სასწავლო ჯგუფებს და ჩვენც—კვალიფიცირებულ და რიგით მოყვარულებს შესაძლებლობა გვექნება საღამო აქტიურ დასვენებას დავუთმოთ.

ამის გაკეთება არ წარმოადგენს სიძნელეს, მითუმეტეს, რომ ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ცენტრალურ ნაწილში, მაგალითად, პირველი კვარტალის ტერიტორიაზე, ამჟამადაც არის შენობები, რომლებიც ელოდებიან საექსპლოატაციოდ გადაცემას. დაე, იყოს ერთი მაღაზიით ნაკლები, სამაგიეროდ, შეგვემატება კულტურის კერა.

ლ. მესარქიშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი,
ალ. კუპრაშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი,
გ. ნადარეიშვილი,
ექიმი, სპორტის ოსტატი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი საჭადრაკო კომპოზიციაში,
ს. თურნავა,
მეცნიერ-მუშაკი,
ო. თურქესტანიშვილი,
ინჟინერი, პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე.

კოცონი მთაში

საინტერესო ტურისტული ლაშქრობა მოაწყო ამ დღეებში სოხუმის ტურბაზა „სინოპმა". ეს მოგზაურობა არასდროს დაავიწყდებათ დასასვენებლად ჩამოსულ სტუმრებს და სოხუმელ ახალგაზრდებს, რომლებიც მონაწილეობდნენ მოგზაურობაში.

ჯგუფს, რომელსაც უფროსი ინსტრუქტორი რ. ლაბახუა ხელმძღვანელობდა, ძლიერ გაუჭირდა მწვერვალ ანჩხოზე ასვლა, მაგრამ სიმაღლე გადალახეს და მწვერვალი დაიპყრეს. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ანჩხოდან სოხუმელ ტურისტთა ადრე ასული ჯგუფის წერილი ჩამოხსნეს.

ანთებულ მეგობრობის კოცონს ირგვლივ შემოუსხდნენ ახალგაზრდები და გვიან ღამემდე გაისმოდა ტურისტების სარიას, მაკაროვას, კუჭუხიძის, ფეოდოროვისა და სხვათა საამო სიმღერები. დილაადრიან კი „მზის" ტბაზე წავიდნენ. არც თვალწარმტაცი რიწა დაივიწყეს და სწრაფმავალი გლისერებით გაისეირნეს ტბაზე.

ტურისტები მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ სოხუმში.

ლაშქრობაში მონაწილე 28 კაცმა მიიღო სამკერდე ნიშანი — „საბჭოთა კავშირის ტურისტი".

ნ. მიქაშავიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

უნივერსიადა

30 აგვისტოს ბრაზილიის ქალაქ პორტო-ალეგროში იწყება სტუდენტთა ტრადიციული თამაშები — მსოფლიო უნივერსიადა. ამ საინტერესო შეჯიბრებისათვის გაცხოველებით ემზადებიან საბჭოთა ჭაბუკები და გოგონები.

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა ვ. პირეიკომ თხოვა სტუდენტთა სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ი. პარფიონოვს ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

— როგორია სტუდენტთა თამაშების პროგრამა?

— სპორტსმენები როგორც წინა უნივერსიადებზე, ისე ახლაც, ერთმანეთს შეეჯიბრებიან მძლეოსნობაში, ცურვაში, ფარიკაობაში, ფრენბურთში, წყალბურთში, ჩოგბურთში, კალათბურთში, კოშკურიდან წყალში ხტომაში და ტანვარჯიშში.

საბჭოთა გუნდი მონაწილეობდა პარიზის, რომისა და სოფიის უნივერსიადებში. ბულგარეთის დედაქალაქში გამოდიოდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, რიგის, ხარკოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების 105 სტუდენტი. ბრაზილიაში წავა 63 სპორტსმენი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სპორტის ყველა სახეობაში, გარდა წყალში ხტომისა და კალათბურთისა.

— თუ შეიძლება, გვითხარით იმ სტუდენტების შესახებ, რომლებიც ნამდვილად წავლენ ბრაზილიაში?

— დავიწყოთ „სპორტის დედოფლიდან". თვითმფრინავში, რომელიც აგვისტოს ბოლოს მოსკოვიდან კურსს აიღებს ბრაზილიისაკენ, იქნება 17 მძლეოსანი, მათ შორის მსოფლიოში სახელმოხვეჭილი სპორტსმენები: მოსკოველი სტუდენტი ვ. ბრუმელი, ასპირანტი ი. ტერ-ოვანესიანი, ე. ოზოლინი, ტ. შჩელკანოვა, ე. ოზოლინა, თ. პრესი, ი. ლუსისი, ტ. ჩენჩიკი. ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში გამოვლენ ი. ტიტოვი, თ. მანინა, ი. მაკურინი და გ. ბურუჩევა. ცურვაში იმედი გვაქვს ვოლგოგრადელი სტუდენტის ი. კარეტნიკოვის, რომელსაც მაღალი შედეგები აქვს ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში, აგრეთვე მოსკოველი ვ. კუზმინის და ვოლგოგრადელი ტ. პიკალოვისა. ფრენბურთის გუნდის ბირთვს შეადგენენ მოსკოველები, რომელსაც შეუერთდება თბილისელი ვ. კაჭარავა და ხარკოველი ი. პოიარკოვა.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის წყალბურთელთა გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია ჩვენს ქვეყანაში. მართალია, გუნდის რამდენიმე ლიდერს ასაკის გამო უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს უნივერსიადაში, ამიტომ მოსკოველ სტუდენტებთან ვ. ოსიპოვთან, ვ. სომოვთან, ვ. პოპოვთან, ე. ეგოროვთან პორტო-ალეგროში გამოვლენ ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრები თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტი ლ. გოგოლაძე და ამავე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გ. ჩიქვანაია.

მოფარიკავეთა გუნდის სათავეში არიან ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ჟდანოვიჩი და ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გ. ლორთქიფანიძე. დიდ იმედებს ვამყარებთ ჩოგბურთელებზე — თბილისელ ი. ერმოლოვაზე, ბაქოელ ს. ლიხაჩოვზე და ლენინგრადელ ა. პოტანინზე.

— თქვენი პროგნოზები?

— ეს შეჯიბრებები, რომლის ორგანიზატორია სტუდენტთა სპორტის საერთაშორისო ფედერაცია, ყოველთვის დიდი ინტერესით მიმდინარეობდა. მომავალი უნივერსიადის საორგანიზაციო კომიტეტს უკვე ჩააბარა თავიანთი განაცხადები 30-მდე ქვეყანამ. პორტო-ალეგროში გამოვა 3000 სტუდენტი. მომავალი უნივერსიადის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ იგი ტარდება წინასაოლიმპიადო სეზონში და სწორედ ოლიმპიური თამაშების ვადებში. თუკი მხედველობაში მივიღებთ, რომ მრავალი ქვეყნის ოლიმპიური გუნდის ბირთვს შეადგენენ სტუდენტები, მომავალ თამაშებს შეიძლება თამამად ეწოდოს ტოკიოს პრემიერის გენერალური რეპეტიცია.

ჩვენი გუნდების შანსების შესახებ? ბულგარეთიდან ჩვენმა სტუდენტებმა წამოიღეს 21 ოქროს, 23 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი. ვფიქრობთ, რომ ახლანდელი ჩვენი გუნდი გააუმჯობესებს მისი წინამორბედის წარმატებას.

ორი მდინარის ხეობით

ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის დირექციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ინიციატივით მოეწყო მასობრივი ტურისტული ლაშქრობა ხვამლის მთაზე, რომელიც ზღვის დონიდან 2002 მ-ზე მდებარეობს.

ტურისტული მარშრუტი ასეთი იყო: ქუთაისიდან მდინარე რიონის ხეობით მანქანებით უნდა ჩავსულიყავით ნაკურალეში. აქედან ჯერ სამხრეთის კედლით უნდა ავსულიყავით ხვამლის მთაზე, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთის კედლით — ოყურეში. ოყურეშიდან მდინარე ცხენისწყლის ხეობით მანქანებით უნდა დავბრუნებულიყავით ქალაქში.

20 ივლისს ქუთაისის ტურისტული ბაზის წინ დილაადრიანად მოეყარათ თავი ტურისტებს. ისინი უკანასკნელად ამოწმებდნენ ტურისტულ საჭურველს.

ჩავსხედით მანქანაში და გეზი ავიღეთ ნაკურალეშისაკენ. უკან ჩამოვიტოვეთ სოფლები გუმათი, ოფურჩხეთი, ყონეთი, ნამახვანი, ონჭეიში, მექვენა.

შუა დღის 2 საათი იყო, როდესაც დავიწყეთ იერიში მთაზე. უამინდობა საგრძნობლად გვიშლიდა ხელს. შემდეგ წვიმა კაშკაშა მზემ შეცვალა. თერმომეტრი ჩრდილში 35°-ს აჩვენებს. უჭირთ ტურისტებს სიმაღლის დაძლევა ასეთ სიცხეში, მაგრამ უკან მაინც არ იხევენ.

როდესაც სოფელ ლახეფას გავლას ვამთავრებდით, ამინდი კვლავ შეიცვალა, მზეს კვლავ ღრუბლები მოეფარა. ტყე, რომელიც ჩვენ უნდა გაგვევლო, ნისლით შეიმოსა, გვიჭირს ერთმანეთის დანახვა, ამასთანავე ტურისტული ბილიკები ბალახებითაა დაფარული. ამიტომ იძულებული შევიქენით გაგვეჭიმა ალპინისტური თოკები.

მთის ძირამდე 2 კმ იქნებოდა დარჩენილი, როდესაც წინ შემოგვეგება გასულ წელს ხვამლზე გაცნობილი მეგობარი — ცაგერის რაიონის სატყეო კანტორის მეტყევე ჯ. ღურჭუმანიძე, რომელიც მოგვეხმარა ტვირთის ატანაში.

საღამოს 8 საათია. ყველა მთის ძირში წყაროს მახლობლად ვჩერდებით. გეგმით ღამისთევა აქ გვქონდა გათვალისწინებული. გავშალეთ კარვები, გაჩაღდა ტურისტული კოცონი, რომლის სიახლოვეს შემომსხდარი ახალგაზრდები მხიარულობენ, მღერიან, ცეკვავენ...

მეორე დილით ადრიანად ავშალეთ კარვები, მოვამზადეთ საჭურველი და განვაგრძეთ გზა მთისაკენ, ყოფილი ეკლესიის მიმართულებით, რადგან ოყურეში დაშვება სწორედ იმ ადგილიდან უნდა დაგვეწყო, ამიტომ საჭურველი იქ უნდა დაგვეტოვებინა.

დილის 9 საათსა და 45 წუთზე ლაშქრობის ყველა მონაწილე ხვამლის მთის უმაღლეს წერტილზე ვართ, ვცვლით წერილს, რომელიც ა. წ. 10 ივნისს ქუთაისის 33-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს დაუტოვებიათ.

ვბრუნდებით უკან, სადაც საჭურველი გვქონდა დატოვებული. იქ „მცირე შეხვედრას" ვუწყობთ მეტყევე ჯ. ღურჭუმანიძეს, რომელსაც დახმარებისათვის ყველა ტურისტის სახელით მადლობას ვუხდით და ვაძლევთ სამეგობრო საჩუქარს: სვანურ ქუდს და მზის სათვალეს.

21 ივლისს საღამოს 7 საათზე უკვე სოფელ ოყურეში მდინარე ცხენისწყლის ნაპირზე ვისვენებთ, ხოლო ერთი საათის შემდეგ იმავე მდინარის ხეობით ვბრუნდებით ქუთაისში.

ტურისტული ლაშქრობის 51 მონაწილე, რომელთაგან 26 ქალი იყო, მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ქალაქში.

ლ. ფაჩუაშვილი

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ლაშქრობის მონაწილენი პირველი დაბრკოლების გადალახვის დროს; ქვემოთ — ტურისტები ხვლიგეზს განიხილავენ.



დამატებითი კალენდარი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა პირველი წრის გამოტოვებულ შეხვედრათა კალენდარი „ა“ კლასის გუნდებისათვის.

15 აგვისტოს ერთმანეთს შეხვდებიან „ტორპედო“ (მოსკოვი)-ცსკა, 16 აგვისტოს — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„დინამო“ (თბილისი), 19 აგვისტოს — ცსკა-„სპარტაკი“ (მოსკოვი), 20 აგვისტოს — „ნეფტიანიკი“ (ბაქო)-„დინამო“ (თბილისი), 24 აგვისტოს — „დინამო“ (მოსკოვი)-„ტორპედო“ (ქუთაისი).

(დასასრული)

ესტაფეტაში 4×500 მეტრზე საქართველოს ვაჟთა გუნდმა ა. მატკავას, თ. ხუბერაშვილის, ს. ციცქიშვილისა და ვ. ეგოყინის შემადგენლობით დისტანცია დაფარა 8.16,1-ში და განაგრძობს ბრძოლას ოქროს მედლისათვის. მას შემდეგ, რაც ჯ. ხოშბაევმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ერთადგილიანი კანოეთი 10.000 მეტრზე, სამზადისი დაიწყო 1000 მ ძალთა ცდისათვის და ნახევარფინალში წარმატებით გადაწყვიტა ამოცანა — აჩვენა 4.43,4, რამაც ფინალში მონაწილეობის უფლება მოუტანა. 1000 მ რბოლის ფინალში გავიდნენ კანოისტები ნ. რაზმაძე და ი. ბიკოვი. ამ წყვილმა ეს დისტანცია გაინვლო 4.17,4-ში, როგორც ჩანს 10.000 მეტრზე მოპოვებული VI საპრიზო ადგილი არც მათ აკმაყოფილებთ და ახლა აქ უკეთესი ადგილისათვის იბრძოლებენ.

კანოისტებს არც საბაიდარო ნიჩბოსნობის ოსტატები ჩამორჩნენ. ჩვენი რესპუბლიკიდან ორადგილიანით 1000 მეტრზე ფინალში გავიდნენ ვ. კალიუჟნი და ს. ციცქიშვილი, მათ ამ დისტანციაზე ნახევარფინალში აჩვენეს 3.50,1. ფინალში გავიდა ჩვენი ქალთა ესტაფეტის (4×500 მ) მონაწილენიც — ფ. ბადანოვა, ლ. სლინიავჩუკი, ლ. ბესპალოვა და თ. ტოლკაჩევა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ვაჟთა 4-ადგილიანი ბაიდარების ნახევარფინალური რბოლა. საქართველოს გუნდმა ნ. გირდას, ს. მარეხაშვილის, ზ. ჩხაიძისა და ვ. ოტრივჩენკოს შემადგენლობით აჩვენა 3.27,3, რაც მეორე შედეგი იყო ნახევარფინალში და თუ ამავე ტემპით განაგრძობენ ისინი ბრძოლას, უნდა ვივარაუდოთ მეორე ადგილი მაინც.

უკანასკნელი სტარტების წინ ამ სახეობის გუნდურ ჩათვლაში წინ არიან რსფსრ-ს, მოსკოვის, ბელორუსიის, ლენინგრადის, უკრაინისა და საქართველოს კოლექტივები.

* * *

ახლა ვნახოთ როგორია განვლილ დღეთა შედეგები. საქართველოს სპორტსმენებმა უკვე მოიპოვეს ოქროს 2, ვერცხლის—5 და ბრინჯაოს — 9 მედალი, თუ არაფერს ვიტყვით მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საპრიზო ადგილებზე. 31 ივლისისათვის საერთო გუნდურ ჩათვლაში (მოსწავლეთა სპარტაკიადის, ნაკრები კოლექტივისა და საწარმოთა კოლექტივის მაჩვენებლები) წინ მიდიან უკრაინა — 233 ქულა, მოსკოვი — 224,5 ქულა, რსფსრ — 217 ქულა, ლენინგრადი — 191 ქულა, საქართველო — 189,5 ქულა, ბელორუსია — 160,5 ქულა.

ჯ. ენუქიძე,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: ზევით — თბილისელი კ. ანისიმოვი, რომელმაც 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ორჯერ შეძლო ჩვენი რესპუბლიკის რეკორდის გაუმჯობესება, პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი და ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა; ქვევით — ტანმოვარჯიშე შ. აზარაშვილი, რომელმაც მრავალჭიდში მესამე ადგილი დაიკავა.

ფოტო ი. იუნაევისა.

ფეხბურთის მიმოხილვა

განვლილი კვირის მანძილზე შედგა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

„მეტალურგი“ (რუსთავი)-სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — 0:6. მსაჯი გ. ვაჩირიძე (თბილისი).

აღნიშნული მატჩი სტუდენტებმა სრული უპირატესობით ჩაატარეს, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი. მასპინძლებმა ვერ გაუძლეს მოწინააღმდეგის ძლიერ დაწოლას და განიცადეს მარცხი დიდი ანგარიშით — 0:6.

„წინსვლა“ (წულუკიძე)-„ცისკარი“ (ცხაკაია) — 2:5. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

ძნელად, რომ ვინმეს მოუვიდოდა აზრად წულუკიძელთა დამარცხება დიდი ანგარიშით. პირველი ტაიმი მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით და დამთავრდა ფრედ — 1:1. მაგრამ შესვენების შემდეგ ცხაკაიელებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს თამაში და 4 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში, ხოლო საკუთარში მიიღეს მხოლოდ ერთი.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი)-„ნადიკვარი“ (თელავი) — 5:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

სტუდენტებმა საუკეთესოდ ჩაატარეს ეს თამაშიც. მათი გამარჯვება უკვე გარანტირებული იყო პირველ ტაიმში, რომელიც დამთავრდა 3 „მშრალი“ ბურთით „ნადიკვარის“ კარში. მეორე ტაიმში ბრძოლა შედარებით გათანაბრდა და საბოლოოდ გამარჯვება დარჩა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდს — 5:1.

„მეშახტე“ (ტყიბული)-„ნადიკვარი“ (თელავი)— 2:2. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

ლიდერმა დაკარგა ულრესად საჭირო ქულა და ისიც საკუთარ მინდორზე. ეს თელაველთა მნიშვნელოვანი წარმატებაა, რომლებიც აქტიურად თამაშობდნენ მთელი მატჩის განმავლობაში. მეორე ტაიმში „ნადიკვარი“ წინ იყო ანგარიშით 2:0 და ამ მომენტში ვერ შეძლო რამდენიმე მეტად ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენება. მხოლოდ თამაშის დასასრულს შეძლეს მასპინძლებმა საპასუხო იერიშების განვითარება და მიაღწიეს ფრეს — 2:2.

„წინსვლა“ (წულუკიძე)-„იმერეთი“ (ქუთაისი) — 1:5. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).

წულუკიძელმა ფეხბურთელებმა მეორე მატჩი წააგეს დიდი ანგარიშით საკუთარ მინდორზე. გუნდმა მხოლოდ შესვენების შემდეგ აჩვენა რამდენადმე დამაკმაყოფილებელი თამაში, მაგრამ უკვე გვიანი იყო, ვინაიდან მას საკუთარ კარში უკვე მიღებული ჰქონდა 4 ბურთი. საბოლოოდ ანგარიშით 5:1 გაიმარჯვეს ქუთაისელებმა.

„მეტალურგი“ (ზესტაფონი)-„ცისკარი“ (ცხაკაია) — 1:3. მსაჯი მ. თოროზაშვილი (რუსთავი).

თანაბარი ბრძოლა, რომელიც დასაწყისში მიმდინარეობდა მინდორზე, თანდათან შეიცვალა „ცისკარის“ უპირატესობით და 66-ე წუთზე იგი წინ იყო ანგარიშით 2:0. მატჩის ბოლო 2 წუთის განმავლობაში მოწინააღმდეგეთა კარში გატანილ იქნა თითო ბურთი და ცხაკაიელებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი — 3:1.

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)-„მესხეთი“ (ახალციხე) — 1:1. მსაჯი ა. ფეიქრიშვილი (თბილისი).

საინტერესო ორმხრივი იერიშების შემდეგ ანგარიში გახსნა ახალციხელმა პეჰნაძემ, ხოლო ტაიმის დასასრულს სტუდენტებმა გაიტანეს საპასუხო ბურთი. მეორე ტაიმში ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა — 1:1.

„სპარტაკი“ (ცხინვალი)-„ისანი“ (თბილისი) — 5:0. მსაჯი ვ. პეტროვი (რუსთავი).

დიდი ანგარიში ცხადად მეტყველებს ძალთა შეფარდებაზე განვლილ მატჩში. თბილისელები თამაშობდნენ ანელულად, უსისტემოდ და ცხინვალელებს არ გასჭირვებიათ მათი იოლად დამარცხება — 5:0.

„დინამო“ (სოხუმი)-„ოდიში“ (ზუგდიდი) — 1:3. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

მატჩი მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში და ზუგდიდელებს ფაქტიურად გამარჯვება მოუტანა პირველ ტაიმში გატანილმა ორმა ბურთმა. შესვენების შემდეგ სოხუმელები ენერგიულად ცდილობდნენ აღედგინათ წონასწორობა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

„შუქურა“ (ჩაქვი)-„გურია“ (ლანჩხუთი) — 1:0. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

ორივე ტაიმის განმავლობაში მინდორზე მიმდინარეობდა საინტერესო, მწვავე ბრძოლა, ქობულეთელთა ერთ-ერთი შეტევა გოლით დაამთავრა ა. მღებრიშვილმა და ეს ბურთი გადამწყვეტი აღმოჩნდა აღნიშნულ მატჩში. გაიმარჯვა „შუქურამ“ — 1:0.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი)-„მაღაროელი“ (ჭიათურა) — 1:0. მსაჯი კ. კონდახსაზოვი (თბილისი).

ორივე გუნდი ენერგიულად იბრძოდა წარმატების მისაღწევად, თუმცა ბურთის გატანის ხელსაყრელი შესაძლებლობანი კარგა ხანს გამოუყენებელი რჩებოდა. მხოლოდ 65-ე წუთზე შეძლეს სტუდენტებმა ერთადერთი ბურთის გატანა, რომელმაც მათ მოუტანა გამარჯვება.

„დილა“ (გორი)-„მეტალურგი“ (რუსთავი) — 3:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

გორელმა ფეხბურთელებმა კარგად ჩაატარეს განვლილი მატჩი. ისინი მოქმედებდნენ მოწინააღმდეგეზე უფრო კოლექტიურად, გეგმიანად და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 3:1.

„მერცხალი“ (მახარაძე)-„მექანიზატორი“ (ფოთი) — 3:0. მსაჯი გ. გოზალიშვილი (გორი).

მასპინძლებს შესამჩნევი უპირატესობა ჰქონდათ დასაწყისიდანვე, მაგრამ მათი იერიშები მეტწილად უშედეგოდ მთავრდებოდა. შემდგომში მახარაძელებმა მეტი სიზუსტე გამოიჩინეს შეტევის დასკვნით ფაზაში და მოწინააღმდეგეც დამარცხებულ იქნა — 3:0.

„ხალხინო“ (გეგეჭკორი)-„განთიადი“ (ბათუმი) — 1:0. მსაჯი გ. ვაჩირიძე (თბილისი).

სტუმრები დასაწყისიდანვე იძულებული იყვნენ დაცვაზე გადასულიყვნენ. სრული დატვირთვით თამაშობდა მათი დაცვა და მეკარე ჩიბურდანიძე. მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, „განთიადმა“ მაინც განიცადა დამარცხება — 0:1.

„ლოკომოტივი“ (სამტრედია)-„დურუჯი“ (ყვარელი) — 5:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

მიუხედავად ნაწვიმარი, მძიმე გრუნტისა, სამტრედიელი ფეხბურთელები თამაშობდნენ სწრაფად, კოლექტიურად. „დურუჯმა“ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა მეტოქეს და განიცადა მარცხი დიდი ანგარიშით — 0:5.

„განთიადი“ (ბორჯომი)-„კახეთი“ (გურჯაანი) — 1:0. მსაჯი რ. ულენტი (თბილისი).

მატჩის დასაწყისში, მე-3 წუთზე ბორჯომელებმა მიაღწიეს წარმატებას და შემდგომში შეძლეს ამ მინიმალური უპირატესობის შენარჩუნება თავიანთ სასარგებლოდ — 1:0.

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეშახტე“ ტყიბული	18	13	2	3	37—16	28
„იმერეთი“ ქუთაისი	18	12	2	4	42—13	26
სას. სამ. ინსტ. თბილისი	17	9	7	1	32—12	25
„მერცხალი“ მახარაძე	17	9	6	2	29—9	24
„მეტალურგი“ ზესტაფონი	17	9	4	4	25—18	22
„დილა“ გორი	18	7	7	4	21—17	21
„განთიადი“ ბათუმი	19	6	5	8	17—26	17
„ნადიკვარი“ თელავი	16	6	4	6	27—28	16
„ცისკარი“ ცხაკაია	16	5	5	6	30—24	15
„მაღაროელი“ ჭიათურა	18	6	3	9	21—26	15
„ხალხინო“ გეგეჭკორი	18	3	4	11	21—44	10
„წინსვლა“ წულუკიძე	10	3	1	6	7—18	7
„მექანიზატორი“ ფოთი	19	1	5	13	16—36	7
„მეტალურგი“ რუსთავი	19	2	3	14	14—51	7

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სინათლე“ თბილისი	18	13	2	3	38—21	28
„გურია“ ლანჩხუთი	18	13	0	5	37—18	26
„მესხეთი“ ახალციხე	19	11	3	5	33—23	25
„ლოკომოტივი“ სამტრედია	17	10	3	4	37—18	23
„შუქურა“ ჩაქვი	19	9	3	7	29—28	21
„ოდიში“ ზუგდიდი	18	7	4	7	29—25	18
„სპარტაკი“ ცხინვალი	19	5	7	7	31—28	17
„განთიადი“ ბორჯომი	19	6	5	8	15—25	17
„შახტიორი“ ტყვარჩელი	16	3	10	3	24—21	16
„დურუჯი“ ყვარელი	17	4	6	7	25—34	14
„დინამო“ სოხუმი	18	3	7	8	12—22	13
„ისანი“ თბილისი	16	5	2	9	14—28	12
ფიზ. ინსტ. თბილისი	15	3	4	8	17—26	10
„კახეთი“ გურჯაანი	19	1	6	12	14—38	8

მეორე ქვეჯგუფში

შედგა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის. განვლილმა ტურმა კიდევ უფრო მეტი გაურკვევლობა შეიტანა ლიდერთა ჯგუფში. ამ გადამწყვეტ ეტაპზე მარცხი განიცადა იაროსლავლის „შინიკმა“, რომელმაც ყარაგანდაში წააგო მატჩი ადგილობრივ „შახტიორთან“ — 2:3. თითო ქულა დაკარგეს ოდესის „ჩერნომორეცმა“ (გომელის „ლოკომოტივთან“ — 0:0) და ვორონეჟის „ტრუდმა“ (ლუგანსკის „შრ. რეზერვებთან“ — 0:0). ამჟამად გათამაშების სათავეში უდგანან „ჩერნომორეცი“ და „ტრუდი“, რომლებსაც 22 ქულა აქვთ თითოეულს და ბურთების ერთნაირი სხვაობა—22-13. 21-21 ქულა აქვთ „შინიკს“ (იაროსლავლი), „შრ. რეზერვებს“ (ლუგანსკი), „კარპატის“ (ლვოვი), „კუბანს“ (კრასნოდარი) და „ვოლგას“ (გორკი).

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ურალმაში“ (სვერდლოვსკი)-„კუბანი“ (კრასნოდარი) — 1:2, სკა (ნოვოსიბირსკი)-„ვოლგა“ (გორკი)—0:5. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)-„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — 1:0.

ჩემპიონი და მისი მეტოქეები

როგორც პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტოს კორესპონდენტი ნიუ-იორკიდან იუწყება „ლას-ვეგასის სწრაფი ნოკაუტით დამთავრდა ფ. პატერსონის კარიერა". ახლა კრივის მიმომხილველები გაცხოველებულ კომენტარს უკეთებენ ლისტონ-პატერსონის მატჩ-რევანშს, რომელმაც ასე გაუცრუა ყველას იმედები. მეტოქეთა ორი მატჩისაგან შემოსავალი ორი მილიონი დოლარი იყო, ხოლო ბრძოლის საერთო ხანგრძლივობა მხოლოდ ოთხი წუთი.

ფლოიდ პატერსონი მსოფლიო ჩემპიონი გახდა 1956 წელს, როდესაც მან მეხუთე რაუნდში ნოკაუტით მოუგო უკვე საკმაოდ ხანდაზმულ არჩი მურს. მაშინ იგი მხოლოდ 21 წლის იყო. პატერსონმა 1959 წელს მესამე რაუნდში ნოკაუტი მიიღო შვედ ინგემარ იოჰანსონთან და დაკარგა თავისი წოდება, მაგრამ მეტოქეს ერთი წლის შემდეგ ისევ შეხვდა, მეხუთე რაუნდში ნოკაუტითვე აილო რევანში და დაიბრუნა ჩემპიონობა. შარშან 26 სექტემბერს მან ჩემპიონობა „დაუთმო" სონი ლისტონს.

30 წლის სონი ლისტონმა პროფესიონალურ რინგზე სულ 36 მატჩი ჩაატარა, აქედან 35 მოიგო. იგი არასოდეს არ ყოფილა ნოკაუტში, თვითონ კი 36 შეხვედრიდან ნოკაუტით მოიგო 24. უკვე რამდენიმე წელია, რაც ლისტონს ვერავინ უწევს სერიოზულ წინააღმდეგობას.

ყოველივე ამის გამო ექსპერტების ოთხიმეხუთედი გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა ლისტონს. მიუხედავად ამისა, გულშემატკივრების ნაწილი პატერსონისადმი სიმპათიით იყო განწყობილი. როდესაც ლას-ვეგასის „კონვენციონ ცენტრალის" რინგზე გამოვიდნენ მოკრივეები, მაყურებლებმა ექს-ჩემპიონი გულთბილად მიიღეს, ლისტონს კი მტრულად შეხვდნენ. ეს მატჩის დამთავრებისთანავე აღიარა თვით მსოფლიო ჩემპიონმა.

როგორც ცნობილია, მატჩ-რევანში ლისტონის სრული უპირატესობით მიმდინარეობდა. ნოკაუტამდე არბიტრმა ჰარი კრაუზემ აღნიშნა პატერსონის ორი ნოკდაუნი, ხოლო მესამეჯერ ექს-ჩემპიონი ფეხზე ველარ წამოდგა. ამგვარად ლისტონ-პატერსონის ხანგრძლივი დავა საბოლოოდ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ „კონვენციონ ცენტრალის" დარბაზში იმყოფებოდნენ რეი რობინსონი, ჯო ლუისი, როკი მარჩიანო და წარსულის სხვა განთქმული მოკრივეები. შეხვედრას ესწრებოდა აგრეთვე ახალგაზრდა მოკრივე კასიუს კლეი, რომელიც ექსპერტებს მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ პრეტენდენტად მიაჩნიათ.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ კორესპონდენტები ესაუბრნენ მოკრივეებს. ლისტონმა განაცხადა: „ლას-ვეგასის მატჩ-რევანშმა დაადასტურა, რომ ჩემი გამარჯვება შარშან ჩიკაგოში შემთხვევითი არ იყო. ჩემს უპირატესობაზე დამაჯერებლად მეტყველებს ის ამბავი, რომ ორი მატჩი პატერსონთან სულ 256 წამს გაგრძელდა". ლისტონმა კორესპონდენტებს აცნობა, რომ ვარჯიშისას ხელი იღრძო, მაგრამ ამჯერად აღარ მოისურვა მატჩის გადადება, რათა პატერსონისათვის არ მიეცა რაიმე დამცინავი განცხადების საბაბი. მსოფლიო ჩემპიონმა აღნიშნა, რომ ამჯერად პატერსონი უკეთ მომზადებული ჩანდა, ვიდრე პირველი მატჩის დროს ჩიკაგოში.

როგორც პოლონური გაზეთი „სპორტი" (ქ. კატოვიცე) იუწყება, საუბარი შეეხო იმასაც, რომ ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის შვედ ინგემარ იუჰანსონის სპორტული ფორმა. ამ მომენტში საგრძნობლად გაუმჯობესდა და მან რამდენიმე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ლისტონმა განაცხადა, რომ იგი თანახმაა უახლოეს ხანებში შეხვდეს იუჰანსონს, თუ შვედი მოკრივე ვერ მოახერხებს შტატებში გამგზავრებას, მაშინ მსოფლიო ჩემპიონი თანახმაა თვით ჩავიდეს ევროპაში, მეტოქეს შეხვდეს ლონდონში ან, თუნდაც სტოკჰოლმში.

პატერსონმა მატჩის შემდეგ თქვა: „ლისტონი უდავოდ ჩემზე უკეთესად იბრძოდა. ჩემს სასტიკ დამარცხებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა არასწორმა ტაქტიკურმა გეგმამ, რომელიც მე ავირჩიე. შეეცდები შემდგომში გავაუმჯობესო სპორტული ფორმა და შევინარჩუნო წამყვანი პოზიციები პროფესიულ კრივში: რაც შეეხება ლისტონ-კლეის მომავალ მატჩს, ვფიქრობ, რომ ამ მეტოქეებს გამარჯვების დაახლოებით თანაბარი შესაძლებლობა აქვთ".

საუბრის დიდი ნაწილი დაეთმო ლისტონ-კლეის მომავალ შეხვედრას. ლისტონმა განაცხადა, რომ ეს ყბედი ჭაბუკი თავისი თავხედური განცხადებებით „ნერვებს უშლის" მას. იგი თანახმაა შეხვდეს კლეის, მაგრამ ფიქრობს, რომ გამარჯვებისათვის სამი რაუნდი ეყოფა. მატჩი განზრახულია მოეწყოს ფილადელფიაში, მაგრამ ლისტონის თანხმობის მიუხედავად, მისი ორგანიზაცია იოლი ამბავი არ იქნება. კლეი მოითხოვს საერთო შემოსავლის 40 პროცენტს, მსოფლიო ჩემპიონი კი თანახმაა დაუთმოს მხოლოდ 20.

ის-ის იყო ლისტონ-პატერსონის მატჩი დამთავრდა, რომ კასიუს კლეიმ განაცხადა: — მე სონი ლისტონის არ მეშინია, ვფიქრობ, რომ უნდა მოვუგო მას 8 რაუნდში მაინც. ხოლო თუ ლისტონმა დამამარცხა, მაშინ გადავიხვეწები ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

მიუხედავად მსოფლიო ჩემპიონის განცხადებისა, რომ იგი თანახმაა შეხვდეს ყველა ღირსეულ პრეტენდენტს, მათ შორის იუჰანსონსა და კლეისაც, მიმომხილველები მაინცდამაინც არ იმედებენ თავს. როგორც ყოველთვის, მსოფლიო ჩემპიონი უფლებას ინარჩუნებს რაიმე [illegible] თავიდან აიცილოს მისთვის არასასურველი მატჩი ანდა ხანგრძლივი დროით გადადოს იგი. ამიტომ მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ლისტონ-კლეის მატჩი მომავალი წლის დასაწყისზე ადრე არ გაიმართება.

რაიმონ კოპა — ლიგის წინააღმდეგი

ფრანგი პროფესიონალფეხბურთელების ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის სულ უფრო მტკიცდება და ფართოვდება. მაგრამ პროფესიონალთა ფეხბურთის ლიგა ცდილობს შეტევაზე გადავიდეს. სულ ახლახანს მოაგონდათ რა ინგლისელი პროფესიონალი ფეხბურთელი ესტჰემი, რომელმაც სასამართლო პროცესი მოიგო თავისი კლუბის ხელმძღვანელობასთან, ფრანგი პროფესიონალი ფეხბურთელების პროფკავშირის ერთ-ერთმა მოღვაწემ ჟიუსტ ფონტენმა თქვა: „ჩვენ გვინდა საკუთარი ესტჰემი". ახლახან ცნობილი გახდა, რომ ფრანგი ესტჰემი ალბათ გახდება ცნობილი ფეხბურთელი რაიმონ კოპა.

რაიმონ კოპამ პრესაში გამოაქვეყნა წერილების სერია ფრანგ პროფესიონალ - ფეხბურთელების მდგომარეობის შესახებ. თავის სტატიებში იგი საქმის სრული ცოდნით აღწერს თავისი ამხანაგების უუფლებო მდგომარეობას. სპორტსმენი სრულიად დამოკიდებულია კლუბისაგან, რომელსაც იგი მიჰყიდეს. თუკი ფეხბურთელი დაავადდა, კლუბს უფლება აქვს გააუქმოს მასთან კონტრაქტი, ხოლო თუკი სპორტსმენი გაწყვეტს კავშირს კლუბთან, იგი ვალების ქსელში ეხვევა. ფეხბურთელს კლუბის ხელმძღვანელების გარეშე უფლება არა აქვს გადავიდეს სხვა გუნდში, მაშინაც კი თუკი კონტრაქტის ვადა მიიწურა. სიბერის დროს ფეხბურთელს არ ენიშნება მინიმალური პენსიაც კი. „ფეხბურთელებს ყიდულობენ და ყიდიან, როგორც მონებს", — წერდა კოპა. ეს არ მოეწონა ლიგის ხელმძღვანელობას და საქმე აღძრა კოპას წინააღმდეგ. ლიგის მოღვაწეები სახელგანთქმულ ფეხბურთელს დისკვალიფიკაციით ემუქრებიან. 29 ივლისს კოპა წარსდგებოდა სპეციალური კომისიის წინაშე, რომელიც გადაწყვეტდა მისი „დასჯის" საკითხს.

პაპირუსი

ჭადრაკის ისტორიის ბევრ გადაუჭრელ საკითხთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და სადავოა ამ ბრძნული თამაშის წარმოშობის საკითხი. აქამდე ჭადრაკის სამშობლოდ მიაჩნდათ ინდოეთი. ასახელებდნენ კიდეც ამ თამაშის წარმოშობის ზუსტ თარიღს — V-VI საუკუნეებს. მაგრამ არის საფუძველი კვლავ წამოვაყენოთ ძველი ვერსია ეგვიპტის შესახებ და ვეძიოთ მასში თუ არა თვით ჭადრაკის, ყოველ შემთხვევაში მისი უცილობელი პროტოტიპი.

სანამ შევუდგებით თხრობას ამ ორიგინალური ვერსიის შესახებ, საჭიროა მოკლედ მაინც შევჩერდეთ იმ გამოკვლევებზე, რომლებმაც მიიყვანეს კაცობრიობა დასკვნამდე, რომ ინდოეთი ჭადრაკის სამშობლოა.

ამ საკითხის მეცნიერული შესწავლა დაიწყო გასული საუკუნის პირველ ნახევარში. სხვადასხვა ლიტერატურულ და საჭადრაკო ხელნაწერებს შორის, რომლებმაც მოაღწიეს XIX საუკუნემდე, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტებია სპარსული წიგნი — VIII საუკუნის ფეხლევის ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია XIII საუკუნის რედაქციით; X საუკუნემდე შექმნილი ფირდოუსის პოემა „შაჰ-ნამე", X საუკუნის ინდოელი ფილოსოფოსის გალიაიუდის ნათქვამი ჭადრაკის შესახებ და ბოლოს ალ-ბირუნის, მოსუდის და სხვა არაბი ავტორების დოკუმენტები.

უფრო უძველესი დოკუმენტები არ აღმოჩნდა თვით ინდოეთშიც კი, სადაც თითქოს შეიქმნა ჭადრაკი. მართალია, ზოგიერთმა მეცნიერმა, როგორც ვეისენბახმა, წამოაყენა ჰიპოტეზა ძველ ეგვიპტესა და საბერძნეთში ჭადრაკის წარმოშობის შესახებ, მაგრამ ეს ჰიპოტეზა, რომელსაც არ გააჩნდა მეცნიერული დასაბუთება, უარყო მეცნიერებამ და დაივიწყა კიდეც.

იმ დროს ჰიპოტეზის მომხრენი შეიძლება დაყრდნობილი ყოფილიყვნენ ეგვიპტის მატერიალური კულტურის სულ რამდენიმე ძეგლზე: 1. ფივაში, რამზეს მესამის სასახლეში ნაპოვნი გამოუცნობი ფრესკა, რომელზეც გამოსახულია მაგიდის რომელიღაც თამაშით გართული ფარაონი, 2. ორი-სამი ცუდად შენახული ფრესკა, რომელზეც გამოსახულია ასეთივე თამაშით გართული ორი მამაკაცი, 3. ლონდონში დაცული პაპირუსი, რომელზეც დახატულია ამავე თამაშით გართული ლომი და ანტილოპა, 4. მეტად უცნაური ფორმის სათამაშო დაფის ნიმუში, (3 × 10 კვადრატი). მაგრამ ეს ძეგლები არ იძლეოდნენ საკმარის უფლებას გვეთქვა, რომ ჩვენს წინაშე ჭადრაკია ან მისი უშუალო პროტოტიპი.

მას შემდეგ ათეულმა წლებმა განვლო. არქეოლოგიამ დიდ წარმატებებს მიაღწია. ეგვიპტის სხვადასხვა გათხრებში, განსაკუთრებით კი ფარაონ ტუტანჰამონის სამარხში ნაპოვნი იქნა ამ საიდუმლო ეგვიპტური თამაშის ახალი საგნობრივი ძეგლები.

ამის გარდა, ამას წინათ ჩინეთში აღმოჩენილ იქნა უძველესი ხელნაწერები, რომლებშიც ლაპარაკია, რომ ჩინეთში ჭადრაკს იცნობდნენ ჯერ კიდევ 247 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ჩვენთვის მაინცდამაინც არაა მნიშვნელოვანი სად გამოიგონეს ჭადრაკი — ინდოეთსა თუ ჩინეთში. მნიშვნელოვანია ის, თუ რომელი უძველესი, ერთიანი ფესვებიდან წარმოიშვა ჭადრაკი. როცა ვაყენებთ ამ საკითხს ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ეგვიპტეს, სადაც ამჟამად ახალი საინტერესო ფაქტები აღმოჩნდა. იგი უფლებას გვაძლევს გავიხსენოთ ოდესღაც მივიწყებული ჰიპოტეზა. რას წარმოადგენს ეგვიპტური თამაში, რომელიც ჭადრაკსა და შაშს გვაგონებს? არსებობს თამაშის ორი სახე — სიგრძივი დაფით 3 × 10 კვადრატი (უფრო უძველესია 3 × 4 კვადრატი) და მრგვალდაფიანი, რამდენიმე კონცენტრიული წრეხაზის (მზის ნიშანი) სახით, რომელიც გვაგონებს ჩვენი შუა საუკუნეების დროის ასტროლოგიურ ჭადრაკს

ჩვენ გვაქვს უფლება განვიხილოთ მრგვალ დაფაზე თამაში, როგორც ინდური და ჩინური ჭადრაკის უძველესი პროტოტიპი. ეს საკითხი საბოლოოდ გაირკვევა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ოდესმე ვიპოვით მრგვალდაფიანი ეგვიპტური თამაშის წესებს. ამ მიმართებით პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ძველ სამარხებში ნანახი ზოგიერთი რამის გამრკვევი პაპირუსების ტექსტი. მათში არის მიცვალებულისადმი ორიგინალური დარიგება, რომელიც მათ მოუწოდებს თამაშს ავსულებთან გამარჯვების აუცილებელი მოპოვებისათვის.

მრგვალდაფიანი ეგვიპტური ასტროლოგიური თამაშის დიდი მსგავსება ჩვენი დროის შუა საუკუნეების ჭადრაკთან და მათი ფიგურების იდენტურობა ზოდიაფოსისადმი თამაშის, დაფის და ფიგურების მიძღვნის ჩვეულება გვიკარნახებს აზრს, რომ უხსოვარ დროში ეგვიპტური თამაში შეტანილ იქნა ინდოეთსა და ჩინეთში, სადაც იგი ბოლოსდაბოლოს გარდაიქმნა ინდურ ჩატურანგად და ჩინურ ჭადრაკად (სიანცი).

უეჭველია, რომ ძველი ეგვიპტე თანდათანობით გაგვაცნობს ჭადრაკის წარმოშობის ისტორიის საინტერესო ფურცლებს და მაშინ ინდოეთსა და ჩინეთს შერჩება მხოლოდ ამ ბრძნული თამაშის სრულყოფა და პოპულარიზაცია.

მ. ვადბოლსკი

მოგვითხრობს

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთ „ლელოს" რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს რედაქციის თანამშრომელ ც. ვაჭარაძეს მისი მამის
მიხეილ ილარიონის ძე ვაჭარაძის
გარდაცვალების გამო.

ახალგაზრდა მხატვართა კლუბი.

ნახ. ლ. სიხარულიძისა.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-32, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09,
გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11548